პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

5 აგვისტო, კვირა 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 183 (15700)

პასუხისმგებლობისა და მოვალეობის გრძნობა

საქართველოს მშრომელთა მთელ შეგნებულ ცხოვრებაში, მათს შრომასა და საქმიანობაში, უოფაცხოვრებაში ფრიად განსაკუთრებულ პერიოდს მოიცავს მიმდინარე წლის შუალედი, დიადი ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის შუა ხანა.

ექვსი თვის მონაცემები სახალხო-სამეურნეო გეგმისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების შესახებ ნათლად დასტურებენ იმას, თუ როგორი გარდატეხა მოხდა სამეურნეო მშენებლობის მსვლელობაში, ჩვენს გარკვეულ ეკონომიური ზრდის მაჩვენებლებში იმ პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის შედეგად, რომლებსაც ახორციელებენ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად.

სულ მოკლე დროში უკვე გაბედულად გამოვლინდა ჩვენი პარტიული კომიტეტების საქმიანობაში დადებითი ტენდენციები, რომლებიც მოწმობენ იმას, რომ თანდათანობით ბოლო ედება უკანასკნელი წლების მანძილზე გამოწვეულ სერიოზულ ჩამორჩენას რესპუბლიკის ეკონომიკის გადამწყვეტ დარგებში, რომ ეგემაზოლიერად იხვეწება ჩვენი სახალხო მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობა, მთელი ორგანიზატორულ-პარტიული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, მასების იდეური აღზრდა.

რა გაკეთდა ხუთწლედის განვლილ წლებში, როგორ სრულდება სახელმწიფო დავალებანი, როგორი ტემპით ვითარდება წარმოება, რა ღონისძიებები ჩატარდა პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლისათვის? ამ საკითხების ყოველმხრივ, ღრმა და პრინციპულ განხილვას მიეძღვნა ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის X პლენუმი, რომელიც მიიდინარეობდა მაღალ იდეურ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ დონეზე. ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით, კოლეგიალობის ვითარებისა და საკითხების თავიუფალი განხილვის ატმოსფეროში.

ყველასათვის ნათელია, რომ მრეწველობა უკანასკნელ ორწელიწადნახევარში მნიშვნელოვნად ჩამორჩა, რომ მისი განვითარების ტემპი ბევრად ნაკლები აღმოჩნდა, ვიდრე დასახული ხუთწლედში. მუშაობა გაუარესეს მრეწველობის შიელმა რიგმა დარგებმა, მკვეთრად შენელდა წარმოების ზრდის ტემპი. მაგალითად, ორ წელიწადში წარმოების მოცულობის ზრდის ტემპი ნაცვლად 112,1 პროცენტისა იყო 105,1 პროცენტი. გამოვლინდა ავრეთვე შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის მკვეთრად შემცირების მეტად მავნე ტენდენცია.

ბუნებრივია, ასეთ სერიოზულ ნაკლოვანებებს არ შეეძლო ჩრნინებული მსჯელობა არ გამოეწვია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებსა და რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრებაზე, რომლებიც გაიმართა შარშან ნოემბერში, წელს — იანვარსა და თებერვალში.

მდგომარეობის ბრინციპულმა მეცნიერულმა ანალიზმა, ჩამორჩენის მიზეზების სრულად გამოვლინებამ, ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და შემდგომი წარმატებისათვის შრომისა და ბრძოლის სწორ ღონისძიებათა შემუშავებამ თავისი ნაყოფი გამოიღო. აი გავიდა ნახევარი წელი და საქართველოს მრეწველობამ ვადამდე, 26 ივნისს, შეასრულა ნახევარი წლის გეგმა, გადაჭარბებით გაანაღდა დავალება როგორც რეალიზაციის, ისე საერთო პროდუქციის წარმოების მაჩვენებლებით, ხოლო 24 ივლისს შეასრულა შვიდი თვის პროგრამა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა ამასთან ერთად ხაზგასმით მიუთითა, რომ ნახევარი წლის შედეგების მიხედვით გარდატეხა მუშაობაში ჯერ კიდევ მეტად უმნიშვნელოა. ნაკლოვანებანი ნელა სწორდება, არსებული ტემპი ვერ უზრუნველყოფს ხუთწლედისათვის დაგეგმილი დონის მიღწევას.

ახლა მრეწველობის დარგში ამოცანა ის არის, რომ წლის მეორე ნახევარში ყოველნაირად გავაძლიეროთ წარმოების მოცულობის ზრდის ტემპი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის საფუძველზე, ავამაღლოთ პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა თვითეული საწარმოს, სამმართველოს, უბნის, ბრიგადის მიერ ყველა მაჩვენებლის მიხედვით საგეგმო დავალებათა შესრულებისათვის, სრული დაბეჭირთვით გამოვიყენოთ მანქანები და მოწყობილობანი, ძირეულად გავაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი, ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება, მივაღწიოთ შრომითი და მატერიალური რესურსების უფრო რაციონალურად გამოყენებას.

ხუთწლედის მეორე ნახევარში დიდი სამუშაო ელით საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკებს. ეს განსაკუთრებით იმიტომ, რომ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე გარდა ჩაის ფოთლის, თამბაქოსა და შაქრის ჭარხლისა, სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების წარმოების სახელმწიფო დავალებანი არ შესრულებულა. სახელმწიფოს წინაშე დიდ ვალში არიან ჩვენი მევენახეები, მებოსტნეები, მეკარტოფილეები. 1971 წელს მეცხოველეებმა ვერ შეასრულეს ხორცისა და კვერცხის წარმოების გეგმა, შარშან კი ნაცვლად მდგომარეობის გამოსწორებისა ჩამორჩა მეცხოველეობის ყველა პროდუქტის წარმოება.

ბუნებრივია, სოფლის მეურნეობაში არსებული ასეთი ჩამორჩენაც პრინციპული მსჯელობის საგანი გახდა პლენუმებსა და აქტივის კრებებზე და ღრმა ანალიზის შედეგად დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი სერიოზულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

ამის შედეგია, რომ განვლილ ექვს თვეში რამდენადმე გაუმჯობესდა მუშაობა მეცხოველეობის დარგში, მოხუხდავად უამინდობისა, კოკისპირული წვიმებისა, მეჩაიეები უხვად კრეფენ ჩაის ფოთოლს. მევენახეები ენერგიულად შრომობენ იმისათვის, რომ სახელმწიფოს მიჰყიდონ 300 ათასი ტონა ყურძენი.

ჩვენმა მხვნელ-მთესველებმა ხუთწლედის დამლევისათვის მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა მექტარზე უნდა გაზარდონ 20-25 ცენტნერამდე, ხოლო მარცვლეულის საერთო მოსავალი — მილიონ ტონამდე. ეს მეტად მნიშვნელოვანი პატრიოტული მოვალეობაა... ფინი წარმატებით შესრულების წინაპირობაა ჩვენი მხვნელ-მთესველების ნაყოფიერი შრომის შედეგი, რომელსაც ახლა ისინი იმკიან... წელს უხვი მოსავალი იძლევა იმის გარანტიას, რომ უზრუნველყოფილი იქნება 120 ათასი ტონა მარცვლეულის მიყიდვა სახელმწიფოსათვის.

მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ცოტა როდია გადაუჭრელი საკითხები, სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში სერიოზული ნაკლოვანებანი. ეს პირველ რიგში ეხებნება იმით, რომ ზოგან შესუსტდა ჩვენი ეკონომიკის ამ უმნიშვნელოვანესი დარგისადმი პარტიული ხელმძღვანელობა.

იმისათვის, რომ რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობამ მიაღწიოს ახალ აღმავლობას, პლენუმმა ამოცანად დაგვისახა სათავეში ჩავუდგეთ მიწათმოქმედთა და მეცხოველეთა პოლიტიკურ და შრომითს აქტივობას, დავრაზმოთ ისინი სახალხო-სამეურნეო გეგმისა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებათა შესრულებისათვის, იმისათვის, რომ ხუთწლედის გადამწყვეტ წელს სახელმწიფოს მივაღწიოთ 285 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 300 ათასი ტონა ყურძენი, 120 ათასი ტონა მარცვლეული, 195 ათასი ტონა ბოსტნეული, 83 ათასი ტონა კარტოფილი, 900 ათასი ტონა ხილი, 45 ათასი ტონა ციტრუსები, 85 ათასი ტონა ხორცი, 189 ათასი ტონა რძე, 295 მილიონი ცალი კვერცხი და სხვა პროდუქტები.

ამით ჩვენ შეავსებთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვეს, რაც ისევ ადამიანთა კეთილდღეობას, მოხმარდება, საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობას, რომლისთვისაც ასე ზრუნავენ ჩვენი პარტია, საბჭოთა სახელმწიფო.

ადამიანისათვის, მისი ბედნიერებისათვის, მისი სიკეთისათვის ზრუნვა წითელ ზოლად გასდევდა პლენუმის მთელ მუშაობას. მეტად საქმიანი მსჯელობა იყო იმის შესახებ, თუ რა ცვლილებები შეაქვს მუშათა, მოსამსახურეთა, კოლმეურნეთა, ინტელიგენციის ოჯახების ბიუჯეტში ჩვენი რეს პუბლიკის პირობებში მეცნიერული ეკონომიური პოლიტიკის შემუშავების პრაქტიკის გაუმჯობესებას, სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობაში დაშვებული შეცდომების გამოსწორებას.

ფაქტების ღრმა მეცნიერული ანალიზის შედეგად დადგენილია, რომ ამ უკანასკნელ პერიოდში, იზრდება მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი და ერთ სულ მოსახლეზე რეალური შემოსავალი, იზრდება მუშათა, მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა ოჯახების ბიუჯეტების შემოსავლის არა მარტო აბსოლუტური ციფრები, არამედ იზრდება მანეთის მყიდველობითი უნარიც.

ბუნებრივია, ეს არის ეკონომიურ პოლიტიკაში დაშვებული შეცდომების გამოსწორებისათვის საქართველოს კომპარტიის ღონისძიებათა ერთ-ერთი ძირითადი შედეგი.

მშრომელი ადამიანისათვის, მისი ბედნიერებისათვის ზრუნვა ნათლად ჩანს იმ დროულ და პრინციპულ ღონისძიებებში, რომლებიც ჩიქრნა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამ უკანასკნელ ხანებში გაატარა გამდიდრების მანიით შეპყრობილი, კერძოსეკუთრული ტენდენციებისა გამსჭვალული ელემენტების წინააღმდეგ. ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო ანტიპოდთა წინააღმდეგ, როგორიც არიან შეჭრთამეები, კომბინატორები, გამფლანგველები, გამომძალველები და სხვა ჯურის ხორცეტტები.

არავითარი დანდობა მათ!.. იმისათვის, რომ სამართლიანად ამოვძარცვოთ უნამუსობა და ბოროტება, რესპუბლიკაში უნდა იყოს სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი, უნდა გაიმარჯვოს ბოლშევიკურმა სიმართლემ და სამართლიანობამ.

პლენუმმე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კურსი — სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში, ჩვენი საქმიანობის ყველა უბანზე მტკიცე პარტიული და სახელმწიფო, შრომითი და საწარმოო დისციპლინის დამყარების კურსი — სანმოკლე კამპანია კი არა, ჩვენი მუდმივი პარტიული პოზიციაა. ბრძოლა ეკონომიკის, კულტურისა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის დონის ამაღლებისათვის, დისციპლინისა და საზოგადოებრივი მართლწესრიგის ყოველნაირად განმტკიცებისათვის სულ უფრო გაძლიერდება. არავითარი გადახვევა აღებული კურსიდან არ არის და არც იქნება.

აი როგორ პირდაპირ და სამართლიანად დააყენა საკითხი პლენუმმა.

ახლა საჭიროა ყველაფერი ვიღონოთ იმისათვის, რომ საქართველო გადავაკეთოთ სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისა და მაღალი კულტურის რესპუბლიკად. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ საზოგადოების თვითეული წევრი დაინტერესებული იყოს საზოგადოებრივი წარმოების გადიდებით, სახელმწიფო გეგმისა და ვალდებულებების უოუოდ შესრულებით.

ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანებს ვზრდიდეთ წარსულის, გადმონაშთებთან სასტიკი ბრძოლის სულისკვეთებით, ვზრუნავდეთ იმისათვის, რომ ყოველ კოლექტივში, მოსახლეობის ყველა ჯგუფში იყოს ერთმანეთისადმი ამხანაგური, პრინციპული მომთხოვნელობის ატმოსფერო, რომელიც ხელს შეუწყობს მოქალაქეობრივი თვითშეგნების ზრდას. ეს არის საბჭოთა ადამიანების კეთილსინდისიერი შრომისა და მაღალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის, იმ ამოცანებს თანმიმდევრული გადაჭრის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი პირობა, რომლებიც სკკპ XXIV ყრილობამ დაგვისახა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის X პლენუმმა, რომელიც რესპუბლიკის პარტიული აქტივის, მთელი ჩვენი კადრებისა და მშრომელი მასების პოლიტიკური აღზრდის კარგი სკოლა იყო, დასახა გზები და საშუალებები იმისა, თუ როგორ უნდა ვავითარებდეთ სოციალისტურ შეჯიბრებას — წარმოების ეფექტიანობის გადიდების ამ უმნიშვნელოვანეს ბერკეტს, დასახა მიმდინარე ხუთწლედში და განსაკუთრებით მესამე, გადამწყვეტ წელს მთელი ჩვენი მუშაობის საპრძოლო ამოცანები.

ახლა მთავარია საქართველოს კომუნისტებმა, ყველა მშრომელმა, ენერგიულად, ნაყოფიერად იშრომონ ამ ამოცანების განხორციელებისათვის, იმისათვის, რომ დირსეული წვლილი შეიტანონ დიადი ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის გეგმისა და ვალდებულებათა შესრულებისათვის, ჩვენი პარტიის დიადი საპროგრამო ამოცანის განხორციელებისათვის — ყველაფერი ადამიანის, ყველაფერი ადამიანისა!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის X პლენუმის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში!

120,000 ტონა მარცვლეულისათვის!

სწრაფად, უდანაკარგოდ!

„კომუნისტის“ ვიმკელები — კომბაინერებზე!

საუარი. ზემო ქართლის კოლმეურნეობის კომბაინერმა ბ. მეტრეველმა, რომელიც ეკიბრება ბ. მოსაიშვილს, პირველი მომ. 17 ჰექტარზე და გალეწა 498 ცენტნერი მარცვლეული. „კომუნისტის“ ვიმპელი ზედიზედ მესამეჯერ მოიპოვა და მუდმივად მას დარჩა.

მცხეთა. ალაგნის ექსპერიმენტალური საბჭოთა მეურნეობის კომბაინერმა ივანე ბეკურაშვილმა, რომელიც საგურამოს მექანიზატორთა საბჭოთა მეურნეობის კომბაინერს ვასილ სოლოშვილს ეკიბრება, 7 ჰექტარზე პირველი მომ.ა და 217 ცენტნერი მარცვალი გალეწა. მეორე დღეს მომ.ა 8 ჰექტარი, მას მეორეჯერ გადაეცა „კომუნისტის“ ვიმპელი.

ზნაური. სოფელ ბუთის კოლმეურნეობის კომბაინერმა ი. ჭელებაძემ, რომელიც დ. თედეიეს ეკიბრება, პირველი მომ.ა 12 ჰექტარზე და გალეწა 436 ცენტნერი მარცვალი. იგი „კომუნისტის“ ვიმპელის მფლობელი გახდა.

გადამეტებით

ზესტაფონი. ქარხანა „ხაჭაბელის“ კოლექტივმა სოციალისტური შეჯიბრების გზისგრეულად მოწყობის გზით წლის პირველი ნახევარი მაღალი შრომითი მაჩვენებლებით დაამთავრა. საერთო პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის დავალება 106 პროცენტით გაანაღდა, მომხმარებელმა გეგმის გადამეტებით დიდძალი სხვადასხვა ზეთის კაბელი მიიღო.

მეკაბელეებმა წლის მეორე ნახევარში კიდევ უფრო გააძლიერეს შრომის ტემპი, პროდუქციის რეალიზაციის შვიდი თვის დავალება სამშობლოს 23 ივლისისათვის უპატაკეს, გეგმის გადამეტებით 200 ათასი მანეთის პროდუქცია გაუგზავნეს მომხმარებელს.

ეს რედაქციას აცნობა ქარხანა „ხაჭაბელის“ დირექტორმა დ. ბუხნიაშვილმ.

ცხაკაიელების ფლიური გეგმა შეასრულეს

რესპუბლიკის მეჩაიეთა დიდ ლაშქრობაში 285.000 ტონა ჩაისათვის თავიანთი წვლილი შეიტანეს ცხაკაიას რაიონის მეჩაიეებმა. მათ თავდადებული შრომით დაძლიეს არახელსაყრელი ამინდიდან გამოწვეული სიძნელენი და რესპუბლიკაში პირველებმა მოიპოვეს ახალი წარმატება: წლიური გეგმით ცხაკაიელებს უნდა მოეკრიფათ 5.713 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. რაიონის მეჩაიეებმა სიტყვა საქმედ აქციეს და **მიმდინარე წლის 4 აგვისტოსათვის, ვადაზე თითქმის ორი თვით ადრე, მოკრიფეს და მრეწველობას ჩაბარეს 5.721 ტონა „მწვანე ოქრო“.**

ეს წარმატება მოპოვებულია რაიონის პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების ორგანიზატორული, შემოქმედებითი მუშაობის მეოხებით. ამის შედეგად ცალკეულმა კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, მეჩაიეებმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს წლიური გეგმები.

ნაკისრი ვალდებულების გადამეტებით იქნება 1.100 ტონა ჩაის ფოთოლი

ამ შემართებაში დიდი როლი შეასრულა ცხობილი მეჩაიის, სოციალისტური შრომის გმირის **ტატიანა ტყებუჩავას** სახელობის პრიზის დაწესებამ. პირველად ეს პრიზი დაამსახურა უშაფათელმა მეჩაიემ **ზოლა გაბელიამ**, რომელმაც უკვე მოკრიფა 9.208 კილოგრამი ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმავალდებულებით ნაკისრი 7.000 კილოგრამისა.

თავი ისახელეს ქვედა ფოცხოს კოლმეურნეობის (თავმჯდომარე **ი. ხაბურძანია**, პარტბიუროს მდივანი **ბ. კორშია**) მეჩაიეებმა, რომლებმაც მოკრიფეს 802 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად 742 ტონისა. ჩაის (კრეფის) წლიური გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს კოტიანეთის, გუჯეთის საბჭოთა მეურნეობებმა, ხორშის „გამარჯვების“, ზანის ფაანოვის სახელობის, უშაფათის სტალინის სახელობის და ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებმა.

მოკრეფილი ჩაის ნედლეული დროულად გადაამუშავეს ცხაკაიას და უშაფათის ჩაის ფაბრიკებმა (დირექტორები **ო. შალამბერიძე** და **ი. ცომაია**). მეტი ჩაისათვის ბრძოლაში სახელი გაითქვა უშაფათელმა მეჩაიემ, ლენინის ორდენოსანმა **თამარ გაბელიამ**, რომელმაც მოკრიფა 8 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი. ამავე სოფლის მეჩაიემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა **თამუნა გოგინავამ** მოკრიფა 5.100 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ხორშელმა მეჩაიემ, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა **მარგო ბუკიამ** — 6.643 კილოგრამი. ასევეა წარმატება მოიპოვეს ამავე სოფლის მეჩაიეებმა **ეთერ** და **ცაცუ დადიანებმა, ზოია ფაჩულიამ** და სხვებმა.

რაიონის მეჩაიეებმა აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და **მტკიცედ გადაწყვიტეს წინათ ნაკისრი ვალდებულების დამატებით მოკრიფონ 1.100 ტონა** ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

სურათზე: ცხაკაიას რაიონის სოფელ უშაფათის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე, კომკავშირელი დარეჯან გაბელია, რომელმაც მოკრიფა 8.500 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

ი. ნანიკაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

5 აგვისტო რკინიგზელის საკავშირო დღეა

თბილისის სალოკომოტივო დეპოს კოლექტივი ახალი შრომითი წარმატებებით ხვდება რკინიგზელთა დღეს. წლის დასაწყისიდან ეგეგმის გადამეტებით გადაზიდულია დიდძალი ტვირთი.

სურათზე: სალოკომოტივო დეპოს მოწინავე მემანქანეები (მარჯვნიდან) ვ. ჩიტიაშვილი, ლ. ჩაჩუა, ტ. კერვალიშვილი, მემანქანის თანაშემწეები ა. მამაცაშვილი, შ. სტეფანიძე, ბ. ფრიდონაშვილი.

ხ. კილაძის ფოტო.

ფოლადის მაგისტრალებზე

ბ. ქადაგიძე,
ამერიკაკავკასიის რკინიგზის უფროსი

ეროვნული წარმატებებით აღნიშნავს ამერიკაკავკასიის მაგისტრალის კოლექტივი რკინიგზელთა სრულიად საკავშირო დღეს. რკინიგზელებმა შვიდი თვის გეგმის გადამეტებით აღრესატს ჩაბარეს 830 ათასი ტონა ტვირთი და გაუმჯობესეს მოძრაობა შემადგენლობის გამოყენება, მნიშვნელოვნად შემცირეს ტვირთშიდვის თვითღირებულება. თვითეული ვაგონის ბრუნვა ნორმასთან შედარებით დაჩქარდა 3,36 საათით, ხოლო თვითეულ ლოკომოტივს დღე-დამეში გადაეკვლა ორი პროცენტით მეტი სახალხო-სამეურნეო ტვირთი. ამის შედეგად განთავისუფლდა 250 ათასი ვაგონი — ერთიორად მეტი, ვიდრე გათვალისწინებული იყო ვალდებულებებით. მიღწეულია ელექტროენერგიის, დიზელის საბობინის და საპობი მასალების დიდი ეკონომია, ხოლო ზეგეგმითმა მოგებამ 800 ათას მანეთს გადააჭარბა. კარგად იმუშავეს მშენებელმა რკინიგზელებმა, რომლებმაც წარმატებით შეასრულეს შვიდი თვის გეგმა და გრაფიკის გასწორებით გადასცეს საექსპლოატაციოდ მთელი რიგი საწარმოო შენობები და საცხოვრებელი სახლები.

მომდინარე წლის ზედიზედ ორი კვარტალი რკინიგზელები ინარჩუნებენ პირველ ადგილს სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და სსრ კავშირის გზათა სამინისტროსა და რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გაწმდამავალ წითელ დროშას.

სოციალისტური შეჯიბრება ავაგარდულ მიჯნებზე აწინაურებს მთელ კოლექტივს, რომლებიც კვლავენ ახალ გზებს წარმოების ორგანიზაციასა და ტექნოლოგიაში. ამის ერთ-ერთი მკაფიო მაგალითია მოსკოვის რკინიგზის ლუბლინის სახარისხებელი სადგურის კოლექტივის მუშაობის მოწინავე გამოცდილება წარმოების რეზერვების უფრო სრულად გამოყენებისა და ვაგონების მოცდენის შემცირების საქმეში.

ჩვენს რკინიგზაზე მოსკოველთა მოწოდებას პირველნი გამოეხმაურნენ თბილისის სახარისხებელი და ტყიბულის სადგურების კოლექტივები, რომლებიც საწარმოთა ხატრანსპორტო საამქროების კოლექტივებთან მჭიდრო თანამეგობრობით მუშაობენ და მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. მათ იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი, რკინიგზის სატვირთო, სახარისხებელი და საუბნო სადგურების ყველა კოლექტივს მოუწოდეს ფართოდ გაჰაზიონ სოციალისტური შეჯიბრება რთული სატრანსპორტო კონვეიერის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

თბილისის სახარისხებელი და ტყიბულის სადგურების კოლექტივთა ინიციატივის მოსკოველთა გამოცდილების დანერგვისათვის განიხილა სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რეპუბლიკურმა კომისიამ და მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა.

ამერიკაკავკასიელ რკინიგზელთა შრომითი არმია გამოირჩევა მაღალი, შეგნებული დისციპლინით, მას ღრმად აქვს შეგნებული პასუხისმგებლობა საერთო საქმისათვის. ამერიკაკავკასიელ რკინიგზელებს კარგად ახსოვთ ლენინის მცნება, რომ რკინიგზის ტრანსპორტზე ორმაგად და სამმაგად საჭიროა დისციპლინა.

დიდი საწარმოო მიღწევები მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა თავდადებული შრომის შედეგია. საუცხოოდ მუშაობენ თბილისის დეპოს მემანქანე გ. ბოგვერაძე, სოხუმელი ვ. ქობულია, სამტრედიელი ვ. ბახტაძე, ერევნის დეპოს მემანქანე ბ. ოგანესიანი და მრავალი სხვა. შემოქმედებითია, დიდად ნაყოფიერი შრომის მაგალითს იძლევიან სხვა წამყვანი პროფესიების მუშაკებიც — სადგურ ჭიათურის დისპეტჩერი შ. სუქნიძე, ქუთაისი-2 სადგურის მატარებლების შემდგენელი ვ. ხარაბაძე, თუმანიანის საწყობი ქვესადგურის უფროსი გ. სემენიუკი და მრავალი სხვა.

პარტიამ და მთავრობამ დიდად შეაფასეს ამერიკაკავკასიელ რკინიგზელთა შრომა, როცა დაკავშირებით 100 წლისთავთან დაკავშირებით ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოვეს რკინიგზა. სამშობლოს მაღალი ჯილდო მაგისტრალის მშრომელებს აღაფრთოვანებს ახალი შრომითი წარმატებებისათვის, ავადმყოფს, ეერძოდ, წარმატებით გადაყვიტონ ისეთი ამოცანები, როგორიცაა, მაგალითად, ზაფხულში მგზავრთა გადაყვანის სიზონის ორგანიზებულად დამთავრება და რკინიგზის მეურნეობის დროული, გონივრიდ მომზადება შემოდგომა-ზამთრისათვის. ამ სამუშაოს, უეჭველია, შეგასრულებთ.

ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს მაგისტრალის რკინიგზელთა წინაშე დასახულია დიდი და პასუხსაგები ამოცანა — ამამაღლონ ტრანსპორტის მუშაობის ეფექტიანობა, კიდევ უფრო გაამჯობესონ სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენება.

პარტიის XXIV ყრილობის და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდინარე პლენუმების გადაწყვეტილებებით აოფრთოვანებული რკინიგზის კოლექტივი მიადწევს რთული სატრანსპორტო კონვეიერის „ყველა რგოლის კიდევ უფრო წარმატებულ მუშაობას და პირნათლად შეასრულებს სოციალისტურ ვალდებულებებს მეცხრე ხუთწლედის დავალებათა გადამდე შესრულებისათვის.

(საქინფორმი).

ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა ე. გერეკს

2 აგვისტოს ყირიმში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევმ შეხვდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ე. გერეკს, რომელიც აქ დასასვენებლად არის ჩამოსული.

საუბრის დროს განიხილეს ფართო წრე საკითხებისა, რომლებიც დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის პარტიული კავშირურთიერთობის, ორი მოძმე სოციალისტური ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური თანამშრომლობის შემდგომ განვითარებასთან.

ლ. ი. ბრეჟნევისა და ე. გერეკის შეხვედრამ ჩაიარა გულითად, შეგობრულ ვითარებაში, ყველა განსახილველ საკითხზე შეხედულებათა სრული ერთიანობის ნიშნით.

ნ. ჩაუშესკუ ყირიმში

2 აგვისტოს რუმინეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჩაუშესკუ, რომელიც ყირიმში იმყოფება, ეწვია ქალაქ სევასტოპოლს.

ამავე დღეს ნ. ჩაუშესკუ სამშობლოში გაემგზავრა. (საკავშირო).

რკინიგზელთა ზეიმი

3 აგვისტოს მოსკოვში გაიმართა საზეიმო საღამო, რომელიც მიეძღვნა რკინიგზელის სრულიად საკავშირო დღის. ცენტრალურ საკონცერტო დარბაზში შეიკრიბნენ ფოლადის მაგისტრალების მშრომელები. მეგზურები, დიდებულების საზოგადოებრივობის წარმომადგენლები. აქ იყვნენ სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ მინისტრები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები.

მოხსენება გაკეთა გზათა მინისტრმა ბ. პ. ბეშჩევმა.

საზეიმო საღამოს მონაწილეებმა მისასალმებელი წერილი გაუგზავნეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს. (საკავშირო).

სსრ კავშირის კპ ცენტრალური კომიტეტის და მთავრობის დელეგაციის ვ. ულბრიხტის დაკრძალვაზე

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს გადაწყვეტილება ბერლინში, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ვალტერ ულბრიხტის დაკრძალვაში მონაწილეობისათვის გაიგზავნოს პარტიისა და მთავრობის დელეგაციის, რომლის შემადგენლობაში შედიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ა. ი. პელშე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ა. ტიხონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ვ. ტ. ერშოვი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ხაზგასმით ითქვა:

სოციალისტურ შეჯიბრებას — მილიონთა ამ მასობრივ მოძრაობას უნდა შეეუქმნათ მყარი ორგანიზაციული საფუძველი, სისტემაზეზედ ვადევნოთ თვალი ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას, რეგულარულად ვაჯამებდეთ შეჯიბრების შედეგებს.

წინსვლის ბერკეტი

ავაამაღლოთ სოციალისტური შეჯიბრების ეფექტურობა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის X პლენუმის მითითებათა და დადგენილებათა ზუსტი და სრული გამორკვეულების უპირველესოვნისათვის დიდი როლი შეუძლიათ და კიდევაც უნდა შეასრულონ საოლქო, საქალაქო, რაიონულმა და შრომითის კოლექტივებთან არსებულმა სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის კომისიებმა.

როგორც ცნობილია, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის X პლენუმმა პირველ საკითხად განიხილა და მიიღო დადგენილება რესპუბლიკის 1973 წლის პირველი ნახევრის სახალხო-სამეურნეო გეგმის და სოციალისტური ვალდებულებების შესრულების შედეგებისა და ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის შემდგომი განმტკიცების, სოციალისტური შეჯიბრების ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ. აღნიშნული დადგენილება წარმოადგენს საქართველოს სახალხო მეურნეობის და კულტურული მშენებლობის პირობების ჯათვალისწინებით შემუშავებულ კონკრეტულ, ღრმაშინაარსიან საბრძოლო პროგრამას.

პლენუმზე აღინიშნა, რომ პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების შედეგად სოციალისტურმა შეჯიბრებამ მიმდინარე წელს უფრო ფართო გაქანება და ქმედითი ხასიათი მიიღო, გაძლიერდა შეჯიბრების სოციალური და აღმშრდელობითი როლი, რაც ხელს უწყობს მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის შემდგომ მძლავრ განვითარებას. მათს ჩამბასაა და აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივი წარმოების მართვაში. ამავე დროს პლენუმმა აღნიშნა, რომ საჭიროა სოციალისტური შეჯიბრების დონის, მისი ორგანიზაციისა და შინაარსის შემდგომი სრულყოფა თვითეული შრომითის კოლექტივში, გადამჭრელი, შეურიგებელი ბრძოლის წარმოება დისციპლინის განმტკიცებისათვის.

პლენუმზე აღინიშნა, რომ საქართველოს ეკონომიკის გაძლიერების შედეგად სოციალისტურმა შეჯიბრებამ მიმდინარე წელს უფრო ფართო გაქანება და ქმედითი ხასიათი მიიღო, გაძლიერდა შეჯიბრების სოციალური და აღმშრდელობითი როლი, რაც ხელს უწყობს მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის შემდგომ მძლავრ განვითარებას. მათს ჩამბასაა და აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივი წარმოების მართვაში. ამავე დროს პლენუმმა აღნიშნა, რომ საჭიროა სოციალისტური შეჯიბრების დონის, მისი ორგანიზაციისა და შინაარსის შემდგომი სრულყოფა თვითეულ შრომითის კოლექტივში, ფაბრიკებსა და ქარხნებში, ნორალური და მატერიალური სტიმულირების გამოყენების პრაქტიკა და სხვ.

ეს საკითხები ღრმად, კვალიფიციურად უნდა შეისწავლოს ადგილებზე, ხოლო მათ გამო, თუ კი ეს საჭიროა, წინადადებები და რეკომენდაციები კომისიამ უნდა შეიტანოს პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროზე, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანოების სხდომებზე.

ამავე დროს შრომითის კოლექტივებში არსებულმა კომისიებმა უნდა გააღლიერონ ინტენსიური მუშაობა სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი მასობრიობისათვის, შრომითის პაექრობაში სულ მეტი რაოდენობით ადამიანთა ჩასაბმელად.

ახლა შეჯიბრებაში ცოტა როდი მონაწილეობს, მაგრამ

ამოცანა ის არის, რომ მათი რიგები გამუდმებით იზრდებოდეს.

კომისიები თავიანთ მუშაობაში ფართოდ უნდა იყენებდნენ შეჯიბრების საჯაროობის ამსახველ ფორმებსა და მეთოდებს, „სოციშეჯიბრების დღიურებს", ინიციატივებს, ბულეტენებს, ფურცლებს და სხვა საშუალებებს, რომელთაც საკმაო ტარატინ უშვებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი.

კომისიები აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ წარმოების მოწინავეთა შრომისა და ცხოვრების ამსახველი კუთხის, ფოტოსტენდის მოწყობაში.

კომისიების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა რეგულარულად მეცხრამეტ შეჯიბრების მიმდინარეობა, მოახდინონ შედარება, გამოავლინონ გაბაჯაჯვებული რესპუბლიკა, ოლქი, ქალაქი, რაიონი, საწარმო, კოლმეურნეობა, სამშენებლო, სატრანსპორტო ორგანიზაცია და სხვ.

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ადგილობრივი კომისიები ყველგან როდი იჩენენ სათანადო ყურადღებას და მონდომებას შეჯიბრების ორგანიზაციის ყველა ძირითადი საკითხის მიმართ. ზოგიერთი მათგანი მხოლოდ სოციალისტური ვალდებულებისა და გეგმების შესრულების შემოწმებით და მათი შეჯამებით არის მემოგარგლული. ეს, რა თქმა უნდა, საჭიროა, მაგრამ სრულიადაც არ არის საკმარისი. კომისიები ნაკლებად მიმართავენ ისეთ მნიშვნელოვან ფორმას, როგორიცაა მაგალითად, შრომით კოლექტივებში გამსჭვალული სხდომის ჩატარება, რომელშიც მრავალ მშრომელს შეუძლია მიიღოს მონაწილეობა, გამოთქვას თავისი აზრი. კომისიების მუშაობის საკითხები უფრო მრავალფეროვანი, აქტუალური უნდა იყოს.

შესამჩნევია ისეთი პრაქტიკაც, როცა კომისიის წევრთა ერთი ნაწილი — თავმჯდომარე, პასუხისმგებელი მდივანი და 2-3 წევრი აქტიურობს, ხოლო ძირითადი ნაწილი წევრებისა ან პასიურობს ანდა სრულიად უმოქმედობს. ასეთი მდგომარეობა, ცხადია, კომისიის მუშაობას წინ გერ წასწევს, ვერ გაამჯობესებს. რაიონული და საქალაქო კომისიები თავიანთ მუშაობაში ყოველდღიურად უნდა ხელმძღვანელობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით „სოციალისტური შეჯიბრების გაზრდის შესახებ", სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით „სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ".

საჭიროა მთელი ძალები მოვაბმაროთ სოციალისტურ ვალდებულებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას, როგორც რუსეთის ფედერაციის, ოფლის მეურნეობის, მშენებლობის ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, საქალაქო მეურნეობის, მომსახურების სფეროს, მეცნიერებისა და კულტურის დაწესებულებათა კოლექტივების მიხედვით, ისე ცალკეულ მუშაკებს შორის მეცხრე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის სახალხო-სამეურნეო გეგმების, პირველ რიგში კი 1973 წლის გეგმის ვადაზე ადრე შესრულებას.

საქართველოს სსრ მშრომელთა სოციალისტური ვალდებულებანი, რომლებიც მიღებულია 1973 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, ითვალისწინებენ საერთაშორისო პროდუქციის და უფნმფწყვლოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების წლიური გეგმა შესრულდეს ვადამდე. 26 დეკემბრისათვის, დ. გეგმების გადამეტებით გამოშვებულ იქნას 63,7 მილიონი მანეთის ოდენობა ფასებით. ეს ნიშნავს ყოფილ იქნას წარმოების ზრდის დასახული ტემპები, პროდუქციის მატებას ძირითადად მიგაღწიოთ შრომის ნაყოფიერების ამაღლების გზით. ეს ვალდებულება გადაჭარბებით არის შესრულებული. რესპუბლიკის მრეწველობამ ვადამდე, 26 ივნისს შეასრულა ნახევარი წლის გეგმა, გადაჭარბებით განაღდა დაგალება როგორც პროდუქციის რეალიზაციის, ისე მოლიანად პროდუქციის წარმოების მხრივ.

კომისიებმა ყველა ღონისძიებით ხელი უნდა შეუწყონ პარტიული კომიტეტების მუშაობას წარმოების ეფექტიანობისა და შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლების დასაბოლოდ, ხოლო მათ გამო, თუ კი ეს საჭიროა, წინადადებები და რეკომენდაციები კომისიამ უნდა შეიტანოს პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროზე, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანოების სხდომებზე.

ამავე დროს შრომითის კოლექტივებში არსებულმა კომისიებმა უნდა გააღლიერონ ინტენსიური მუშაობა სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი მასობრიობისათვის, შრომითის პაექრობაში სულ მეტი რაოდენობით ადამიანთა ჩასაბმელად.

ახლა შეჯიბრებაში ცოტა როდი მონაწილეობს, მაგრამ

ამოცანა ის არის, რომ მათი რიგები გამუდმებით იზრდებოდეს.

კომისიები თავიანთ მუშაობაში ფართოდ უნდა იყენებდნენ შეჯიბრების საჯაროობის ამსახველ ფორმებსა და მეთოდებს, „სოციშეჯიბრების დღიურებს", ინიციატივებს, ბულეტენებს, ფურცლებს და სხვა საშუალებებს, რომელთაც საკმაო ტარატინ უშვებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი.

კომისიები აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ წარმოების მოწინავეთა შრომისა და ცხოვრების ამსახველი კუთხის, ფოტოსტენდის მოწყობაში.

კომისიების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა რეგულარულად მეცხრამეტ შეჯიბრების მიმდინარეობა, მოახდინონ შედარება, გამოავლინონ გაბაჯაჯვებული რესპუბლიკა, ოლქი, ქალაქი, რაიონი, საწარმო, კოლმეურნეობა, სამშენებლო, სატრანსპორტო ორგანიზაცია და სხვ.

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ადგილობრივი კომისიები ყველგან როდი იჩენენ სათანადო ყურადღებას და მონდომებას

როცა სიფყვას ღალატობენ

რატომ არ სრულდება ხილ-ბოსტნეულის დაქფაღებისა და საჯელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები?

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის X პლენუმზე ხაზგასმით ითქვა:

დიდ ვალში არიან საჯელმწიფოს წინაშე მევენახეები, მებოსტნეები და მეკარტოფილეები... ხუთწლედის დამდეგიდან სამშობლოს დაკარგა 51 ათას ტონაზე კარტოფილი, 20 ათას ტონაზე მეტი ბოსტნეული და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები.

ზაფხულია, შრომის სიმშრალე დღეები. ეს ის პერიოდია, როცა ძირითადად თუ არა, უმეტესად მაინც: ამ ხანებში წყდება ჩაის, ხილის, ბოსტნეულ-ბაღჩეულის დამზადების საკითხი. ეს სამი კი დიდმნიშვნელოვანია, რადგან მასზეა დამოკიდებული რესპუბლიკის წამყვანი სამრეწველო დარგის — ჩაის მრეწველობის გამართული მუშაობა. ამ დარგის საქმიანობის მკირეოდენი შეფერხება კი საფრთხეს უქმნის რესპუბლიკის მრეწველობის საერთო გეგმების შესრულებას, რადგან ქვების მრეწველობის ხვედრითი წონა ძალიან დიდია.

სწორედ ამიტომ არის, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო დიდ ყურადღებას უთმობენ ჩაის, ხილ-ბოსტნეულის დამამზადებლობა და ამ ნეიდლეულის გადამამზადებელ მრეწველობის კოლეტივების საქმიანობას. **მივაწოდოთ მოსახლეობას მეტი და მაღალხარისხოვანი ქვების პროდუქცია, ხილი, ბაღჩეულ-ბოსტნეული, არ დაუშვათ მცირეოდენი შეფერხებაც კი ამ საქმეში. ასეთია პარტიისა და მთავრობის დღევანდელი მოწოდება.**

და ამ მოწოდებას თავდადებული შრომით უპასუხებენ სოფლის მეურნეობის მშრომელები, ქვების მრეწველობის საწარმოთა კოლექტივები. მათ ალბად ესმით, რომ **რადაც არ უნდა დაუჯდეთ, უნდა ანაზღაურონ ხუთწლედის განვლილ ორ წელიწადში მოუსავლიანობის გამო ყურძნის და ზოგიერთი სხვა ხილლეულის დამზადების საქმეში ჩამორჩენის შედეგად მიღებული ზარალი,** რამაც მკვეთრად შეაფერხა ქვების მრეწველობის საწარმოთა მიერ პროდუქციის გამოშვების ზრდის ტემპები და საფრთხე შეუქმნა ხუთწლეულის გაზრდილი გეგმების შესრულებას.

ხუთწლედის მესამე წელიწადი გადამწყვეტია. სწორედ წელს უნდა შეექმნათ მარაგსამეტი მომავალი წლებისათვის, რომ უთუოდ დაეძლიოთ ხუთწლედის გაზრდილი პროგრამა. ამ საერთო ამოცანების ვითარებაში, რომელიც ახლა ჩვენი რესპუბლიკის შრომით სფეროში შეიქმნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ფართოდ გაიშალა შეჯიბრება გეგმებისა და ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის, შრომითი და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის. შეჯიბრება უფრო სულ ჯარო, ქმედითი და შედეგიანი გახდა. კოლექტივების ნაკისრ სიტყვას ფასი მიეცა, რეალურია ვალდებულების ყოველი პუნქტი.

ამიტომ, ჯიქრობთ, სწორედ რეალური რეზერვების, შესაძლებლობების იმყარება რესპუბლიკის **ქვების მრეწველობის სამინისტროს სისტემის საწარმოთა კოლექტივების მიერ ნაკისრი გაზრდილი ვალდებულებანი, რომლებიც ხუთწლედის პროგრამის ვადაზე ადრე შესრულდას და მარტო მესამე, გადამწყვეტ წელს გეგმის გადამეტებით 59.646 ათასი მანეთის პროდუქციის გამოშვებას ითვალისწინებენ.** ამ პირობის განაღდება ქვების მრეწველობის ყველა დარგის საწარმოთა კოლექტივების ღირსების საქმეა.

მთელი დატვირთვით მუშაობენ ჩაის ფაბრიკები. ნაკისრი ვალდებულებები გადაჭარბებით სრულდება და ამაში დიდი წვლილი მიუძღვით ჩვენს სახელოვან მეჩაიეებს, რომლებიც მოუხედავად არახელსაყრელი ამინდებისა, გადამშეაეებელ საწარმოებს შეუფერხებლად აწვდიან ნედლეულს.

ყოველივე ეს სასიხარულოა, მაგრამ საშუხაროა ის, რომ ამ დიდძალი ნედლეულიდან გეგმით გათვალისწინებული რაოდენობით ვერ ვიღებთ პირველი და უმაღლესი ხარისხის ჩაის პროდუქციას. კერძოზეული ფაქტია, რომ ვაერთიანება „საქჩაიში" შემავალი ფაბრიკებიდან დიდი უმრავლესობა ვერ ასრულებს უმაღლესი და პირველი ხარისხის ჩაის გამოშვების დავალებას, წლის პირველ ნახევარში გეგმით ფუნდ გამოუშვეთ 17.785 ტონა ე. ი. დაალეს თითქმის 2.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის პროდუქცია. მაგრამ, საშუხაროდ, ამ ვამოშეებული მაღალხარისხოვანი ჩაის პროდუქციის დიდი ნაწილიც ხშირად ვერ ამარილეს მიკერძოებულ მარკას, ხარისხოვან კი გამოდგება ხოლმე. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ამ მაღალხარისხოვან პროდუქციაზე ეფრა რეკლამაცია როდი მოდის ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეთან.

ქართული ჩაის ხარისხის ღირსებას საბჭოს ოტრეხენ მიჩაიეობის ისეთი წამყვანი რაიონების ჩაის ფაბრიკები, როგორიც არის მახარაძე, ქობულეთი, ზუგდიდი, ალი, ლანჩხუთი და სხვ. რა მიზეზები ქმნიან ამ სამარცხვინო მდგომარეობას?

არსებული მონაცემები იმაზე მიუთითებენენ, რომ ეს ძირითადად ხარისხსა ნედლეულის მიღებითა და გადამუშავების ტექნოლოგიის უხეში დარღვევით ხდება. **დასამალავი ალარ არის, რომ წლების მანძილზე ეს მავნე პრაქტიკა ვაბატონებული იყო და ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნევდნენ, ოღონდ როგორმე რაოდენობრივი გეგმა შეესრულებინათ. ახლა პრინციპულად დგას საკითხი, რომ იყოს რაოდენობაც და ხარისხიც.** სამწუხაროდ, როგორც ჩანს, ჩაის დამამზადებლებმა და გადამამუშავებლებმა ჯერ კიდევ ვერ ეკოლოგიის ძველი მავნე პრაქტიკა და უმეტეს წილად ყველა ძველებური მეთოდებით მუშაობენ.

ჩვენი აზრით, ეს სიფიცხეა. მაგრამ, როგორც ჩანს, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა ორგანოები, შესაბამისი უწყებანი ამაში საგანგაშოს ვერაფერს ხედავენ, ალბათ ამიტომაც არის, რომ ფაბრიკებში ხშირად მეტად უხარისხო ნედლეული ბარდება, და არც ფაბრიკების, არც მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელები ამაზე ხმას არ იმაღლებენ. სარკეზვილია კი ამის თქმა, ჩვენი ჩაის პლანტაციების ნედლეული საოკეანოესოა. მაგრამ იგი ზოგან მეტად ცუდად იკრეფება,

დიდი მისია აკისრიათ ამ დარგის მუშაკებს. სწორედ მათ **უახლოეს ხანში მთლიანად უნდა დაამყაროფილონ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილება ჩაის პროდუქციაზე. მაგრამ ეს მარტო იმას როდი ნიშნავს, რომ ვიბრძოლოთ მხოლოდ ჩაის მეტი რაოდენობით გამოშვებისათვის და დავივიწყოთ მის ხარისხზე ზრუნვა, რომელიც თავი და თავი საქმეა. ჩაი უკვე ჩვენი ეროვნული სიამაყის პროდუქტი გახდა და ამიტომ მისი ხარისხის ხელყოფა არავის ეპატიება.**

შეიძლება ითქვას, რომ ბუნების წყალობას ელოდებიან ჩვენი ხილ-ბოსტნეულის დამამზადებლები. მათ სწორედ ზაფხულის ამ მეტად

მადნეულის ძლიერი ძარღვი

აქ შენდება მეორე რუსთავი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის X პლენუმზე ხაზგასმით ითქვა:

...მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს რესურსებლიკის ახალშენებებს, იქნება ეს ენგურის კიდროელექტროსადგური თუ ქალაქი მადნეული. მადნეულში, ბევრმა იქნება არც კი იცოდეს ეს, ფაქტიურად მეორე რუსთავი შენდება...

ლიდებული სანახავია მადნეული, ტერასებზე ვაშლილა იგი თეთრი მრავალსართულიანი სახლებით. შორს, გადმა ულარმაზარი ნაგებობის ლითონის ჩონჩხია. **ეს სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი შენდება — მადნეულელთა სიამაყე, ხუთწლედის დირექტივებით გათვალისწინებული დამკვრელური ობიექტი.** მისი მშენებლობა აქ ამ რამდენიმე წლის წინათ გადაწყდა. როცა გეოლოგებმა მთლიანად გამოთვალეს და დადგენილ მადნეულის ფენადილითონების მარაგი.

— ძნელი იყო მომაობის პირველი წლები. — მოგვითხრობს სამთო გამამდიდრებელი კომბინატის დირექტორი ფილიპე ნაჭყებია, — დიდმა ფაკალებმა პირველად თითქოს დეგვაბნია. მაგრამ მაინც ფალი ფალ მეშენებლობა ალ ეშალა. ამ ფალ ფალ ფალ

მსოფლიო დღეს

გასულ კვირაში

დრო და ამბები

- □ საყოველთაო მშვიდობის უანიშვნელოვანესი გარანტია.
- □ კვიპროსი: შანტაჟი ვერ შეგაშინებს.
- □ წინააღმდეგობანი ვერ აღმოფხვრეს.
- □ მოლაპარაკება თეთრ სახლში.

თეთრ სახლში დამთავრდა იაპონიის პრემიერის კ. ტანაკასა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. ნიქსონის მოლაპარაკება.

მოლაპარაკება მიმდინარეობდა სხვადასხვა საზოგადოებრივი ყოფილების ძვეყნებს შორის საერთაშორისო დაძაბულობის შემცველობის ფონზე. ბრეჟნევ-ჟუდსის სისტემის კრახი, სწორედ იგი იყო „პატერალისტურ სამყაროში განუწყვეტელი საგალუტო-საფინანსო კრიზისების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.

ვაშინგტონის შეხვედრაზე, რომელიც ორ დღის მიმდინარეობდა დახურულ დარბაზში, მინისტრებმა ყოველი ფონი იხმარეს, რათა მკვდარი წერტილიდან დაეძრათ ისეთი რეფორმის შემუშავების ცდები, რომელიც კაპიტალისტურ სამყაროს დაიცავდა ახალი კატასტროფული საგალუტო-საფინანსო აფეთქებებისგან. ამ რეფორმის დებულებები უნდა დამამტკიცოს საერთაშორისო საგალუტო ფონდის სესიამ, რომელიც მიმდინარე წლის სექტემბერში ნაირობში გაიმართება.

„ოცთა კომიტეტის“ მუშაობამ კვლავ ცხადყო, რომ მკვეთრად განსხვავდება სხვადასხვა ქვეყნის მიდგომა დღის წესრიგის ძირითად საკითხთა გადაწყვეტისადმი. ამან ყველაზე დიდი ოპტიმისტებიც კი დაანაღვლიანა. მთავარი წინააღმდეგობანი წარმოიშვა ისეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხის განხილვისას, როგორიცაა სხვადასხვა ქვეყნის საგადამხდელო ბალანსების კორექტირება და ვაცვლითი საგალუტო კურსების მოწესრიგება.

ამერიკის მოთხოვნა, რომ სანქციები განსახორციელონ იმ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, რომლებიც არ ცდილობენ თავიანთ საგადამხდელო ბალანსების გამოსწორებას, წარს „ვაშინგტონ პოსტმ“, წაუწყდა „დასავლეთ ევროპის“ ქვეყნების მტკიცე წინააღმდეგობას“. გადაუჭრელი დარჩა სხვა დიდმნიშვნელოვანი პრობლემები, როგორიცაა დოლარის ოქროზე გაცვლა, ოქროს როლი მომავალ ახალ სისტემაში.

„კომიტეტის მუშაობის შედეგების შეჯამებისას ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრმა პ. ვოლკერმა აღიარა, რომ შეხვედრის მონაწილეებმა ვერ გამოიტანეს საერთო აზრი ბევრ დიდმნიშვნელოვან საკითხზე. მან თქვა, რომ საგალუტო რეფორმის შემუშავების „სჭირდება კიდევ დიდი ხნის მსჯელობა და შემდეგომი მუშაობა, გაანალიზება და ანალიზი“.

საბოლოო ანგარიშით, როგორც პრესა მოწმობს, „ოცთა კომიტეტმა“ იმის გამო, რომ ძირითად კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის არსებობს უთანხმოება და შეურიგებელი წინააღმდეგობა, ვერ მიაღწია არსებითს პროგრამას საგალუტო რეფორმის მომზადებაში. კანადის ფინანსთა მინისტრმა ჯ. ტერნერმა აღნიშნა, რომ „ამ მხრივ დიდი სიძნელეებია“ და თქვა „საკითხის საბოლოო გადაწყვეტა მოსაფოდნელი არ არის ნაირობში საერთაშორისო საგალუტო ფონდის სესიაზეც“.

საქართველოს სსკ კომპარტიის მწაკირას რაიკომის პლენუმი

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცხაკაიას რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორი განსაკუთრებული საკითხი.

პლენუმმა ნ. ა. ჭითანავა გათავისუფლა პარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველი მდივნისა და რაიკომის ბიუროს წევრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

პარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველ მდივნად და რაიკომის ბიუროს წევრად პლენუმმა აირჩია ვ. პ. ესვანჯია.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ზ. ა. პატარაძემ. (საქინფორმი).

□

გავაუმჯობესოთ საფოსტო მომსახურება

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივი კომისიის სხდომა, რომელზეც მოისმინა კომისიის თავმჯდომარის, დეპუტატ ნ. ბერიძის მოხსენება თბილისისა და რუსთავის მოსახლეობის საფოსტო მომსახურების მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა გ. დოლნიკოვმა, ო. სულადეს, ი. კუდრუნკომ, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრის პირველმა მოადგილემ მ. ინაურმა, თბილისის ფოსტამტის უფროსმა ა. გაბიტაშვილმა, რუსთავის კავშირგაბმულობის კვანძის უფროსმა ნ. ლეონავამ აღნიშნეს, რომ საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ, მისდამი დაქვემდებარებულმა თბილისის ფოსტამტმა და რუსთავის კავშირგაბმულობის კვანძმა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განახორციელეს მოსახლეობის საფოსტო მომსახურების გასაუმჯობესებლად.

ამასთანავე აღინიშნა, რომ საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს, თბილისის ფოსტამტისა და რუსთავის კავშირგაბმულობის კვანძის მუშაობაში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი.

არის შემთხვევები, როცა საფოსტო განყოფილებათა მიზეზით დროზე ვერ მიაქვთ კორესპონდენციები. ფოსტალიონთა კონტინგენტი თბილისის ფოსტამტში არ არის დაკომპლექტებული, არის კადრების დიდი ნენადობა.

განხილულ საკითხებზე კომისიამ მიიღო შესაბამისი დადგენილება.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე. (საქინფორმი).

□

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 2 აგვისტოს გრძანებულებით პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცი წლისთავ დაკავშირებთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატაკი სიგელით დაჯილდოდა ამხ. მიხეილ ანტონის-ძე **გვახარია** — საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის მოადგილე.

□

„საქართველოს კომუნისტი“ № 7

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალის **„საქართველოს კომუნისტის“** მორიგი, მე-7 ნომერი.

ჟურნალის ახალი ნომერი იხსნება მოწინავე წერილით **„იდეოლოგიური მუშაობა — ახალ ამოცანების დონეზე“**. რუბრიკით „ლენინური პარტია — ჩვენი ეპოქის ბანერი, პატიოსნება და სინდისი“, ჟურნალში გამოქვეყნებულია **ი. მირცხულავას** სტატია — „რსდმპ II ყრილობის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა.

ოქვა დაბეჭდილი მასალები: **რ. გელეიძე** — „მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის არსი და ფორმები“; **ა. ტაკიძე** — „მტკიცედ დაიცავით საბჭოთა კანონი და სოციალისტური მართლწესრიგი“. **ი. ხანთაძე** — „მარქსიზმის კლასიკოსების შრომების სრულყოფილი თარგმნისათვის“. **ვ. ლომერაშვილი** — „რეფორტაჟის დიდი მომდევნალი“.

განყოფილებაში **„იდეოლოგიური ბრძოლის საკითხები“** გამოქვეყნებულია **ო. ქაჯაიას** წერილი — „მოისტების საბედისწერო, მოლაპული გზა“, რუბრიკით „საუბარი დიდ პრობლემებზე“ ჟურნალი ბეჭდავს ინტერვიუს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან აკადემიკოს **ი. ვეკუასთან.**

ჟურნალში ქვეყნდება აგრეთვე სხვა საინტერესო წერილები.

ქართული ძეწლები — ასულელის ძალაზეა!

ზესტაფონიდან სამხრეთით მიდის ჩვენი გზა.

ქალაქიდან არც ისე შორს ყოფილა ალავერდი.

მთავარი გზიდან ჩვენმა მანქანამ საუბნო ვიწრო შარაზე გადაუხვია. უცებ ერთი ორსართულიანი სახლის წინ გაჩერდა. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვარლამ სარალიძემ, „კოლხოსნიკს“ რომ მოაკროლებდა, მითხრა:

— აი იმ სახლში ცხოვრობს სოციალისტური შრომის გმირი პეტრე კვანტრიშვილი.

თავმჯდომარემ თავი გაჩერა მანქანაში და ერთიორჯერ შესძახა.

არავინ გამოხეიდა.

ამ დროს მეზობელი სახლის ეზოდან მოხუცი გამოვიდა. სუფთად, კოხტად ეცვა იმ კაცს.

ასეთ კარგ ფორმში პეტრეს შინ როგორ ნახავთ, — მოხუცი თვითონ გამოელაპარაკა თავმჯდომარეს, — ქვემოთ ვენახში მუშაობს, აგერ, პატარა ბიჭს გაგიგზავნი, ჩაირბენს ფარეთში და ამოიყვანს.

— არა, არა! ბიძია, აქ ამოყვანა არ მინდა, თვითონ ჩვენ ჩავალთ იქ, — ვუთხარი მე.

გადმოვედით მანქანიდან.

— ვიცი, სადაც იქნება, — თქვა ვარლამმა.

მოხუცი მაინც წაგვიძღვა წინ, თან გვითხრა:

— ამ სერზე გადავდგეთ და კიდევ დავინახავთ!

მართლაც, ორიოდე ნაბიჯი გადავდგით, ჩვენს თვალწინ გადაიშალა დიდი ვაკე, სულ ვენახი და ვენახი.

— ჩვენი პეტრეც აგერ მუშაობს. პეტრე, შეიხედე, მოდი აქეთ! — დაუძახა ვარლამმა.

ბალე ჩვენს წინ ბაღარა კაცი დადგა.

დავიწყეთ საუბარი.

— იქ, ზვარში რომ გამწკრივებულან ქალები, ისინი თქვენი ბრიგადისა არიან? — შეეკითხე პეტრეს.

— ჩემი რგოლის წევრები არიან.

ვეკითხები:

— რას აკეთებენ იქ?

— ვენახის მოსავლაზე მუშაობენ.

— ეგ მართლაც იოლი საქმე. შეგირჩევიან.

— იოლია, მაგრამ აბა თავის დროზე ნუ მოახვევ! ქარი სულ დაყრენიებს ლორიკო ყლორტებს. მერე იციო, რა ყლორტებია? აი იმ ყლორტებზა იციან ბარაქიანი მტევნები. თოხი უფრო მძიმეა. ამას მე მოვკიდე სელი. კაცები კიდევ ჩემს გარდა სხვა უბანზე მუშაობენ. ეს ახალშენი ვენახიც ჩემზეა მოთავრებული, სულ ორი ათასი კვადრატული მეტრია. მოსავალი წლიდან შეგა მსხვოიარობაში. ისე კარგად ვუვლი, რომ მოუსხმელი ეროი ძირიც არ დარჩება 1974 წელს.

არავინ იფიქროს, რომ მარტო ეს ახალშენი ვენახია მასზე მიმავრებული. პეტრე ამუშავებს კიდევ სრულ მსხმოიარე ნახევარ ჰექტარ საკოლმეურნეო ვენახს.

— ნიტავ ახლა შემოდგომა იყოს, რა დიდებული სანახავი ექნებოდა ეს ვაზები.

პეტრემ ოდნავ გაიღიმა და მითხრა.

— შემოდგომაზეც გვეწვიე, შემოდგომაზე ჩვენი ზეიმია! რთველობას აბა რა სჯობს. უშრომლად და გაურჯელად არც ყურძნის კრეფვა, მაგრამ საგანგებო შრომასთან რა შესადარებელია. თუ გინდა მასპინძელი კარგად გაიცინო, მარტო ზეიმის დროს კი არა, შრომაშიც უნდა ნახო!

ამ გამრჯე კაცის სიტყვები, რაც გამოცდილებით იყო ნაკარნახევი, ჭკუაში ფიქრობდა. გაკვეცილი ვაზის თვალუწვდენელ მწკრივებს, ყოველ ძირს ეტყობოდა მოსვლელის დიდი მზრუნველობა, ვუქცეოდი მას და მაგონდებოდა პოეტის სიტყვები: ვაზო, შვილივით ნაზარდო.

ამ პოეტურმა შედარებამ ახალი შეკითხვის სურვილი აღმიძრა:

— პეტრე, შვილი რამდენი გყავს?

— ორი. ორივე ვაჟი — თეთრი და ლეო.

პირველად თეთრი წავიდა საბჭოთა არმიის რიგებში, მერე — ლეო.

წლები უცებ გაფრენდა. თეთრი უკვე ჩამოვიდა.

ასე ვსაუბრობდით და თან თავი სახლისკენ მიგვიძღოდა პეტრე. მაცნობდა ოჯახის ამბავს.

ამოვედით სერზე, შევიხედეთ პეტრეს ეზოში.

სახლის წინ დაეხსედით.

ეზოში რძისფერი ახალი კრიალა „მოსკვიჩი“ შემოგრილდა.

— ეს ვინ გვესტუმრა? — ვეკითხები პეტრეს.

— ჩემი ბაჟია, თეთრი. ეს მანქანაც ჩემია.

თეთრი მამას ამოსდგომია გვერდში, კოლმეურნეობაში მუშაობა აურჩეია. უმცროსი კი იწერება თურმე: ჩამოვალ და სწავლას უმადლეს სასწავლებელში განვაგრძობო.

პეტრემ გვიამბო, რომ მასზე მიმაგრებულ ნაკვეთზე გუმამ ყოველ წელიწადს გადაჭარბებით ასრულებს.

შარშან, 1972 წელს მასზე მიმაგრებულ საკოლმეურნეო ნახევარ ჰექტარზე ვევმით ხუთი ტონა ყურძენი რომ უნდა მოეკრიფა, სინამდვილეში მოკრიფა ცხრა ტონა.

აი ნამდვილი ზეიმი, გადაჭარბება ოთხი ტონით.

პეტრემ საკოლმეურნეო ზვარში მუშაობით თავი ხომ ისახელა, მაგრა მისი შრომა განა მარტო ამით ამოიწურება?

არა!

ოთხი ტონა ყურძენიც თავისი საკარმიდამოდან მიპყიდა სახელმწიფოს. საკუთარ მარანშიც სიუხვე დაბერილია.

ვეკითხები პეტრეს:

— ასე კარგად რომ შრომობ, საინტერესოა, შენს ოჯახს თვიურად რამდენი მანეთი აქვს გამომუშავება?

— საშუალოდ 150 მანეთი, — ამბობს პეტრე.

პეტრეს ოჯახის შემოსავალი არც ამით ამოიწურება.

აი თუნდაც: შარშანდელ კარგ მოსავალთან დაკავშირებით მიიღო პრემია 550 მანეთი.

ზოგჯერ გაკვირვებას იწვევს ხოლმე, ავტომანქანას რომ იყიდიან: ნეტავ, სად იშოვნა ამდენი ფულიო?

მაგრამ განა გასაკვირველია, პეტრე კვანტრიშვილმა რომ მანქანა იყიდა?

რა თქმა უნდა, არა!

ქვბანა-ქვბით შემკულმა შრომამ მოუტანა ყოველივე სიკეთე მის ოჯახს.

დიდი სიხარული ტრიალებს პეტრეს ოჯახში.

შარშანდელმა მისმა ნაყოფიერმა შრომამ კიდევ მთელ ქვეყანას მოაფინა პეტრე კვანტრიშვილის სახელი. იგი დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით.

გმირი

ახლა პეტრე შეძლებული კოლმეურნეა.

— სხვა სოფლებივით ალავერდიც მიყრუებული იყო, — ამბობს პეტრე, — მე რომ პატარა ბიჭი ვიყავი, თუმცა არც ისე პატარა, ათი თუ თერმეტი წლისა, ჩვენი სოფლიდან შორს ამიგზავნიდა ზესტაფონი. რატომაო? იკითხავთ. იმიტომ, რომ ორლობეებში ვიწრო ტალანიანი გზები ძლივს ჩავალწევდით ხოლმე იქ. კიდევ კარგი, რომ ქალამანები თასმებით მაგრად გვქონდა ამოკრული. ახლა აღარც ის გაუვალი ტალახიანი ბილები და ბღარე ქალამანი. ამ გაბედერმა ასფალტიანმა გზამ თითქოს ზესტაფონიც კი მოაახლოვა.

პეტრე უკუღმართ ძველ დროს არ მოსწერებია. იგი ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში დაიბადა. მან პატარობიდანვე იგრძნო პარტიისა და მთავრობის მზრუნველობა მშრომელი ადამიანისადმი.

— შვიდი წლისა ვიყავი, ჩვენს სოფელში კოლმეურნეობა რომ ჩამოყალიბდა, — ამბობს პეტრე

აი მაშინ ეს პატარა ბიჭი სკოლაშიც დადიოდა, მამასაც ეხმარებოდა საკოლმეურნეო მუშაობაში.

მიდის დრო.

სოფელი თანდათან იცვლის სახეს.

სიღარიბე თითქოს თავისთავად გაიპარა.

არა!

კი არ გაიპარა მშრომელმა ღარიბმა გლეხობამ ჩიწა რომ მიიღო, დაამუშავა ეზო, მოსავალი თვითონ აიღო და ასე ყველა ოჯახში ხვავი და ბარაქამ დაიბერტყა კალთა. წინათ ბობოლეებიდან სესხულობდნენ სიმინდსა და ლობიოს ღარიბი გლეხები, მერე შემოდგომაზე უფრო მეტი რაოდენობით იხდიდნენ.

ახლა აღარც ის ღარიბები არიან და აღარც ის ბობოლები.

მაგონდება ძველი „დედაენის“ ერთი პატარა მოთხრობა, რომელსაც ასეთი შინაარსი ჰქონდა: ღარიბი კაცის ოჯახში ცხვარი შეგიდა, ფეხი დაბაბაუნა და სიღარიბე გარეთ გაგდო. ასე იყო იმ მოთხრობაში, მაგრამ ცხვარმა ვერ იხსნა ღარიბი გლეხობა, სინამდვილეში სიღარიბე კოლმეურნეობამ გაგდო სოფლიდან.

წლები მიდიოდა და ალავერდელი კოლმეურნეებიც უფრო და უფრო ღონიერდებოდნენ. პეტრეც დავიზარდა. მისი ძლიერი მკლავი ოჯახსაც დიდ ბარაქასა და სიუხვეს ჰპირდებოდა და კოლმეურნეობასაც, მაგრამ კაცის ოცნება და კარგი გეგმები განა მუდამ დაუბრკოლებლად ხორციელდება?

ვერც ჭაბუკი პეტრეს ოცნებამ გაშალა ფრთები. მოდა დიდი სადენელი ამბავი, შემაბრწყინებელი. მარტო პეტრეს ოჯახისათვის, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნისათვის — მოულოდნელად თავს დაესხა ჩვენს დიდ სამშობლოს ფაშისტური გერმანია.

მაშინ სამშობლომ მოითხოვა ყველაფერი მტერზე გამარჯვებისათვის.

ჭაბუკი პეტრე სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა.

წელს წელი გადაეცა.

— ომი და ომი!

პეტრე იქიდან იწერებოდა:

„ადრე თუ გვიან ვერაგ მტერს ბუცელებლად მოვსპობთ. გამარჯვებული დაბრუნდები ისევ ჩემს საყვარელ სოფელში, დავლევ ჩვენი გამარჯვების სადღეგრძელოს და შემოვძახებ საყვარელ სოფელს: „ალავერდო, ალავერდი შენთან!“

პეტრეს აუსრულდა თავისი სიტყვები.

დამთავრდა ომი!

პეტრე კვლავ დაუბრუნდა თავის სოფელს.

მაგრამ ახლა სულ სხვა პეტრე დაბრუნდა. აქედან რომ წავიდა, ჭაბუკი იყო, ჯერ კიდევ მოუმწიფებელი, ხოლო დაბრუნდა დავაკაცებული დიდი გამოცდილებით. ჩადგა კოლმეურნეობაში, ზოგიერთზე რომ იტყვიან ხოლმე: საქმეს მკერდით დაეტაკაო, პეტრეც სწორედ ასე მოიქცა. მან არ იცოდა რა იყო დაღლა. მისი შრომა სხვებისთვისაც სამაგალითო და მისაბაძი გახდა.

მალე ეს მოწინავე კოლმეურნე რგოლის ხელმძღვანელად დანიშნეს.





ამბები

- □ საყოველთაო მშვიდობის უანიშვნელოვანესი გარანტია.
- □ კვიპროსი: შანტაჟი ვერ შეგაშინებს.
- □ წინააღმდეგობანი ვერ აღმოფხვრეს.
- □ მოლაპარაკება თეთრ სახლში.

ეროვნული ტერორისტული ორგანიზაციის ამბანგმამ

ბერძენი ბეგლარის ბრიგასის მეთაურობით კვიპროსზე ჩავიდნენ ახალი დანაშაული — მოეტაცა მთავრობის ერთ-ერთი წევრი ხ. ვაკისი. ნაწილობრივ ეს იყო პირადი შურისძიების აქტი, რადგან ვაკისი, რომა იუსტიციის მინისტრი იყო, ახორციელებდა აქტიურ ღონისძიებებს ბრიგასის დამაქაშვა ძირგამოთხრელი საქმიანობის აღკვეთისათვის. მაგრამ ამასთანავე ეს იქნა, უფრო, უფრო ფართო პოლიტიკურ მიზნებსაც ისახავდა. მისი მიზანი იყო გამეწვევინა კვიპროსში დაძაბულობის ატმოსფერო, დაეშინებინა პრეზიდენტ მაკარიოსის მომხრენი და დაემსო იგი. გაურკვევლობულ ფურცელში, რომელსაც ხელს აწერს ბრიგასი, მოტანილია მინისტრის განთავისუფლების პირობებად ტერორისტებმა წამოაყენეს ამკარად პროვოკაციული მოთხოვნები, როგორიცაა მაკარიოსის გადადგომა პრეზიდენტის პოსტიდან, თავიანთი დაპატიმრებული მომხრეების განთავისუფლება და სხვ.

გრიგასმა უკვე ბევრი ასეთი დანაშაული ჩაიდინა. მას შემდეგ რაც 1971 წლის სექტემბერში იგი ფარულად გადავიდა საბერძნეთიდან კვიპროსში, აქ განუწყვეტლივ ხდება ტერორისტული აქტები. როგორც წესი, რეაქცია ფარულად მოქმედებს. თვით გრიგასი ღრმა იატაკქვეშეთში იმალება. მაგრამ მისი ბიჭმები უკვე დიდი ხანია აღარავისთვის აღარ არის საიდუმლო. იგი მოითხოვს „ენოზისს“ — კვიპროსის შეერთებას საბერძნეთთან, რის შედეგად ძირეულად და დამღუპველად შეიცვლებოდა ამ პატარა კუნძულის სახელმწიფოს მოსახლეობის ბედი. თავისი არსებობის მანძილზე კვიპროსის რესპუბლიკა პრეზიდენტ მაკარიოსის მეთაურობით ახორციელებენ ნეიტრალიტეტსა და სხვა ქვეყნებთან მშვიდობისმოყვარული თანამშრომლობის პოლიტიკას. თუ კვიპროსი შეუერთდა საბერძნეთს, რომელიც ნატოს წევრია, ისიც ამ სამხედრო ბლოკის წევრი უნდა გახდეს. ჩრდილოატლანტიკური პაქტის ხელმძღვანელები უკვე დიდი ხანია ცდილობენ ასეთი გეგმების განხორციელებას, რადგან ამ კუნძულს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. მათ ძალზე სურთ კვიპროსი გადაქცევინონ „ჩაუძირავ ავიამზიდად“, რომელიც შეიძლება გამოიყენონ ახლო აღმოსავლეთის არაბული ქვეყნების წინააღმდეგ.

კვიპროსელთა დიდი უმრავლესობისათვის ასეთი გეგმები აბსოლუტურად უცხო და მიუღებელია. ქვეყნის ყველა მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაცია აქტიურად უჭერს მხარს კვიპროსის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის პოლიტიკას, რომელსაც მაკარიოსი ახორციელებს. ამ პატარა ქვეყნის მთავრობის მერვე საყოფნია ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს სიმპათია და მხარდაჭერა. სწორედ ამიტომ ძალიერ ესოდენ მტკივდან და გადაჭრით მაკარიოსის განცხადება ტერორისტული ბანდა. ამან ყველაზე დიდი ოპტიმისტებიც კი დაანაღვლიანა. მთავარი წინააღმდეგობანი წარმოიშვა ისეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხის განხილვისას, როგორიცაა სხვადასხვა ქვეყნის საგადამხდელო ბალანსების კორექტირება და ვაცვლითი საგალუტო კურსების მოწესრიგება.

ამერიკის მოთხოვნა, რომ სანქციები განსახორციელონ იმ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, რომლებიც არ ცდილობენ თავიანთ საგადამხდელო ბალანსების გამოსწორებას, წარს „ვაშინგტონ პოსტმ“, წაუწყდა „დასავლეთ ევროპის“ ქვეყნების მტკიცე წინააღმდეგობას“. გადაუჭრელი დარჩა სხვა დიდმნიშვნელოვანი პრობლემები, როგორიცაა დოლარის ოქროზე გაცვლა, ოქროს როლი მომავალ ახალ სისტემაში.

„კომიტეტის მუშაობის შედეგების შეჯამებისას ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრმა პ. ვოლკერმა აღიარა, რომ შეხვედრის მონაწილეებმა ვერ გამოიტანეს საერთო აზრი ბევრ დიდმნიშვნელოვან საკითხზე. მან თქვა, რომ საგალუტო რეფორმის შემუშავებას „სჭირდება კიდევ დიდი ხნის მსჯელობა და შემდეგომი მუშაობა, გაანალიზება და ანალიზი“.

საბოლოო ანგარიშით, როგორც პრესა მოწმობს, „ოცთა კომიტეტმა“ იმის გამო, რომ ძირითად კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის არსებობს უთანხმოება და შეურიგებელი წინააღმდეგობა, ვერ მიაღწია არსებითს პროგრამას საგალუტო რეფორმის მომზადებაში. კანადის ფინანსთა მინისტრმა ჯ. ტერნერმა აღნიშნა, რომ „ამ მხრივ დიდი სიძნელეებია“ და თქვა „საკითხის საბოლოო გადაწყვეტა მოსაფოდნელი არ არის ნაირობში საერთაშორისო საგალუტო ფონდის სესიაზეც“.

გასულ კვირაში

მსოფლიო დღეს

ვაჭრობის განვითარება

ვაშინგტონი. 4 აგვისტო. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის სამინისტრომ გამოაქვეყნა მონაცემები, რომელთა თანახმად საბჭოთა კავშირთან და აღმოსავლეთ ევროპის სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ამერიკის ვაჭრობის მოცულობამ 1973 წლის პირველ ნახევარში მიაღწია 1237 მილიონ დოლარს, რაც თითქმის ერთეულამად აღემატება გასული წლის ამავე პერიოდის დონეს.

ფინანსაარჩევნო კამპანია თურქეთში

ანკარა, 4 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტი ვ. პოპოვი გვატყობინებს: გუშინ თურქეთში ოფიციალურად დაიწყო ფინანსაარჩევნო კამპანია. პარლამენტის შემდეგი წლის 14 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით.

მომავალი არჩევნების თავისებურება ის არის, რომ ეს პარლამენტის პირველი არჩევნებია მას შემდეგ, რაც 1971 წლის 12 მარტს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაერევნენ სამხედროები.

სამინისტრო კამოთქვამს აზრს, რომ ეს შესაძლებელი გახდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობების გაუმჯობესების შედეგად, რაც გამოიწვია 1972 და 1973 წლებში საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების ხელმძღვანელთა უმაღლესი დონის შეხვედრებმა.

□

ფინასაარჩევნო კამპანია თურქეთში

ანკარა, 4 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტი ვ. პოპოვი გვატყობინებს: გუშინ თურქეთში ოფიციალურად დაიწყო ფინასაარჩევნო კამპანია. პარლამენტის შემდეგი წლის 14 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით.

მომავალი არჩევნების თავისებურება ის არის, რომ ეს პარლამენტის პირველი არჩევნებია მას შემდეგ, რაც 1971 წლის 12 მარტს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაერევნენ სამხედროები.

მთვრალი სამეფოთან

მანჩესტერი (ინგლ) ცენტრალურ რაიონში ოეცერად გამორნდა მძიმე ჯავშანტრანსპორტიორი. მთვრალ ამერიკელ ჯარისკაცს ეს საბრძოლო მანქანა დიდი სიჩქარით მოპყავდა და გზიდან 15 მსუბუქი ავტომანქანა დალეწა.

მთვრალი ამერიკელი ჯარისკაცის „გასეირნებით“ გამოწვეულმა ზარალმა 150 ათას მარკას გადააჭარბა.

ჯავშანტრანსპორტიორი, რომელსაც სამხედრო პოლიციის ბევრი მანქანა მისდევდა, მხოლოდ მაშინ გაჩერდა, როცა მოტორი ჩაუქრა.

სიონისტთა მსხვერპლი

ოსლო. 4 აგვისტო. (საკდესი). ნორვეგიის მთავრობა

ბოლოდროინდელ ინფორმაციით, ალავერდელ კოლმეურნეებს ეგონა, ეს ბიჭი ალბათ ბოლოს ბოლოს ალავერდელ ბიჭებს ჩამოგვიტანს ამბავს,

დღეს მოძმე რესპუბლიკებში

ესტონეთის მიწაზე

მეგობრობის გზებით

ესტონეთი ბალტიისპირეთის ერთ-ერთი უმშვენიერესი კუთხეა, ტალინი კი მისი გული და შშვენიერების განსახიერება. იგი ერთ-ერთი უძველესი ქალაქია მთელ ევროპაში. მომხიბლავია მისი ძველთაძველი ისტორიული, მატერიალური კულტურის ძეგლები, რომლებიც ამაყად დგანან ესტონეთის მიწაზე.

ტალინი დიდი მნიშვნელობის მქონე საზღვაო ნავსადგურია. აქ შემოდიან საკავშირო გემები ბევრი ქვეყნიდან. ესტონეთის დედაქალაქი უმსხვილესი სამრეწველო ცენტრია. აქ წარმოდგენილია ესტონეთის მრეწველობის თითქმის ყველა დარგი: მანქანათმშენებლობა, გემთმშენებლობა, გემთსარემონტო, ხელსაწყოთმშენებლობა, ძაფსართავი და საფეიერო მრეწველობა...

ტალინი ცნობილია თავისი ეკსპორტით, იგი თავის მზა პროდუქციას აწვდის მსოფლიოს 86 ქვეყანას.

1946 წლიდან ტალინში არსებობს მეცნიერებათა აკადემია, რომელიც აერთიანებს და უშუალოდ ხელმძღვანელობს ოცზე მეტ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს და მასთან ერთად საცდელ ბაზებს, ლაბორატორიებს, მუზეუმებს...

როგორც ცნობილია, ტალინის სახელმწიფო კონსერვატორია ამზადებს კომპოზიტორებს, მუსიკოსებს, საკონცერტო და ოპერის მომღერლებს.

ტალინში რამდენიმე თეატრია, მათ შორის: ქალაქის ცენტრში აგებულია უდიდესი თეატრი — სახელმწიფო აკადემიური ბალეტისა და ოპერის თეატრი „ესტონეთი“. ამავე შენობაში მოთავსებულია სახელმწიფო ფილარმონია. დიდი პოპულარობითა და პატივისცემით სარგებლობს აგრეთვე დრამის სახელმწიფო აკადემიური თეატრი, რომელსაც უამრავი მაყურებელი ჰყავს. ტალინში არის რუსული დრამის, მოზარდ მაყურებლთა და თოჯინების თეატრები. ყველასათვის ცნობილია კინოსტუდია „ტალინფილმი“, რომლის პროდუქციას მაყურებელი დიდი სიამოვნებით ელის ხოლმე.

ტალინში 10 მუზეუმია, 4 კულტურის სახლი, 10 კლუბი, 15 კინოთეატრი, ორასამდე ბიბლიოთეკა.

ვისაც კი ფეხი დაუდგამს ესტონეთის მიწაზე, იგი არ შეიძლება არ მოხიბლულიყო ესტონეთის ლამაზი ბუნებით, ყოველ ნაბიჯზე სურნელოვანი ყვავილებით, მწვანემი ჩაფლული ბაღებითა და პარკებით, თვალწარმტაცი ძველი და ახალი ნაგებობით, უძველესი დროის მხატვრობით...

ტალინი — ბალტიისპირეთის პატარა, მაგრამ ულამაზესი ქალაქია თავისი კოლორიტული ქუჩებით, იდეალური სისუფთავით, მყუდროებითა და მაღალი კულტურით. ქალაქის ყველა ტრანსპორტი: ავტობუსი, ტროლეიბუსი, ტრამვაი მუშაობს უკონდუქტოროდ. — ესტონელი კაცი წყნარად და ხმადაბლა საუბრობს. თუ ჩამოსულმა ვინმემ ქუჩაში ხმამაღალი ლაპარაკი დაიწყო ან წამოიყვირა რაიმე გაუგებრობით, მას უთქვეულად ყურადღებას მიაქცევენ. მაღაზიებში დაცულია სრული წესრიგი, ბევრ მაღაზიას ნახავთ უგამყიდველოდ და ყველგან წესრიგი და სისუფთავეა. საკოლმეურნეო ბაზარში ესტონელი გლეხი თავისი საქონლის ფასს ერთხელ რომ გეტყვის, მეორეჯერ არ გაიმეორებს, ის არ არის დაწვეული ვაჭრული ენით ლაპარაკს, მომატებას, დაკლებას და სხვ. ესტონელ კაცს საზოგადოდ არ უყვარს ბევრი ლაპარაკი და გადაჭარბებული კამათი.

ესტონეთი განთქმულია მეცხაონლეობით, ჯიშიანი ძროხებით და სხვა მსხვილფეხა საქონლით. საერთოდ ბალტიისპირეთის რესპუბლიკები მდიდარია რძის პროდუქტებით: რძით, კარაქით, ყველით, ნადუღით, ხაჭოთი და სხვ. ეს რესპუბლიკები მდიდარია შინაური ფრინველითაც.

ესტონელი ხალხი ურთიერთგაგებით და საქმიანი კონტაქტებით არის დაკავშირებული ქართველ ხალხთან. მათი კულტურისა და ხელოვნების მუშაკები კარგად იცნობენ საქართველოს ხელოვნების მუშაკებს, მათ თეატრალურ ცხოვრებასა და შემოქმედებას.

ბევრს უნახავს და ახსოვს ესტონეთის თეატრის გასტროლები თბილისში.

ესტონეთის მწერლები და პოეტები მეგობრულ კავშირში არიან ქართველ მწერლებთან და პოეტებთან, საგრძნობი და საქმიანია მათი ურთიერთკონტაქტები. ბევრი ლექსი და მოთხრობა უთარგმნიათ ესტონელ მთარგმნელებს ქართველიდან ესტონურ ენაზე. ქართველი მთარგმნელები ხომ ვალში არ დარჩებოდნენ ესტონელებს და მათაც ბევრი კარგი ლექსი და ნაწარმოებები უთარგმნიათ ესტონურიდან ქართულ ენაზე. რაც დრო გადის, მით უფრო ღრმავდება ესტონელი ხალხისა და ქართველი ხალხის მეგობრობა. ესტონეთში არსებობს თქმულება, რამდენიც მეგობარი გყავს, იმდენი გზა მოდის თქვენი ბინისაკენო.

შ. ლეკვეიშვილი,

ტალინი-თბილისი.

მამაცობის კანონებით

ალმა-ათა, 3 აგვისტო. (საკუთარი კორ.). „საპატიო ნიშნის“ ორდენი გადასცეს ალმა-ათის ოლქის კურტინის რაიონის ბარიბაევის სახელობის საბჭოთა მეურნეობის შოფერს ბეისეტაი დაურენბეკოვს. ეს ჯილდო მას მიენიჭა მამაცობისა და გმირობისათვის, რაც გამოიჩინა ბავშვების გადარჩენისას, რომლებსაც დასრწობის საფრთხე ემუქრებოდა.

ეს მოხდა მდინარე ილიზე. რვიდან თხუთმეტ წლამდე ასაკის ბავშვების ჯგუფი ნავით გადადიოდა მდინარეზე. მოულოდნელად შუა მდინარეში ნავი გადაბრუნდა.

წყალში ჩაცვივნული ბავშვების ყვირილი პირველმა ბ. დაურენბეკოვმა გაიგონა. იგი ტანსაცმლიანად გადაეშვა ცივ წყალში — ყოველი წამი ძვირფასი იყო. შოფერი ბავშვებთან მიცურდა და გადაბრუნებულ ნავთან მოუყარა მათ თავი. პატარები ნავში ჩასვა, უფროსებს კი დაეხმარა ბორტს ჩასჭიდებოდნენ. განსაკუთრებით გაუჭირდა იმათი გადარჩენა, ვინც უკვე წყალი ყლაპა და იძირებოდა: ბევრჯერ მოუხდა ბეისეტაის ჩაყვინთვა, რომ ეს ბავშვები ამოეყვანა.

თორმეტი ბავშვი გადაარჩინა სიკვდილს კომუნისტმა ბ. დაურენბეკოვმა.

ოქროსფერი ვერცხლი

ამას წინათ კანადიდან სასიამოვნო ცნობა მოვდა — ქალაქ მონრეალში მუსიკოს-შემსრულებელთა საერთაშორისო კონკურსზე მომღერლმა **მაყვალა ქასრაშვილმა მეორე პრემია დიმსახურა.**

მაყვალა ქასრაშვილის სახელი გამორჩეულად პირველად სტუდენტობის წლებში გაისმა. მეოთხეკურსელი ვოკონა სტაჟირებაზე მოსკოვის დიდ თეატრში მიიწვიეს. ერთმა წელმა განვლო, და ამ თეატრში მას უკვე მთავარ როლებში ვხედავთ. ახალგაზრდა ქართველი მომღერალი ასრულებს ტატიანას პარტიას ჩაიკოვსკის ოპერა „ევგენი ონეგინში“, ოლლას რიმსკი-კორსაკოვის „პსკოველ ქალში“, ფრანჩესკას რაზმანინოვის „ფრანჩესკა და რიმინში“, გრაფინიას მოცარტის „ფიგაროს ქორწინებაში“, მარგარეტას გუნოს „ფაუსტში“, ლეონორას ვერდის „ტროუბადურში“, ტოსკასა და ჩიო-ჩიო-სანს პუჩინის ამავე სახელწოდების ოპერებში.

ასეთი რთული და მრავალფეროვანი პარტიები ყველა სოფლიოსო მომღერლის რეპერტუარს დაამშვენებდა. ასე ერთბაშად, პირველივე შეტევით აიღო ხელოვნების მაღალი მწვერვალები ახალგაზრდა ქართველმა მომღერალმა. სათქმელად ადვილია და ლამაზი, ხოლო სინამდვილეში ამ მიღწევას საფუძვლად უდიდესი შრომა და ოფლობა უდევს. და კიდევ ნიჭი. ოფრო ზუსტად კი ჯერ ნიჭი და შემდეგ მონდომება.

დიდი თეატრის გასტროლებისას პარიზსა და ტოკიოში მაყვალას დიდი მოწონება ხვდა ტატიანას პარტიაში. ოპერას დირიჟორობდა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი მსტისლავ როსტროპოვიჩი. ქართველმა მომღერალმა ვენაში ასევე წარმატებით შეასრულა ნატაშას პარტია პროკოფიევის ოპერაში „ომი და მშვიდობა“.

ის, რაც უკვე ზემოთ ჩამოთვალეთ, ერთი მომღერლის დამთავრებულ ბიოგრაფიას აღწონდა.

ამას ეს-ეს არის ახალი გამარჯვებაც დაემატა — მაყვალა ქასრაშვილი მონრეალის მუსიკოს-შემსრულებელთა საერთაშორისო კონკურსის მეორე პრემიის ლაურეატი გახდა.

მკითხველისათვის უფრო გასაგები რომ გახდეს ამ მიღწევის მნიშვნელობა, რამდენიმე სიტყვით თვით კონკურსს დავახასიათებთ.

მონრეალში კონკურსზე მხოლოდ ერთი სახეობისა თუ ჯერის შემსრულებლები იკრიბებიან. ამჯერად, 1973 წელს აქ მხოლოდ მომღერლები მონაწილეობდნენ. ქალები და მამაკაცები მონრეალში ერთიან კონკურსზე გამოდიან.

კონკურსი ორიგინალის უპირატესობით აღინიშნება — ანუ მომღერლმა ვოკალური ნაწარმოებები უნდა შეასრულოს იმ ენაზე, რომელზეც დაწერილია. სპეციალისტები საგანგებოდ ადევნებენ კონკურსის მეორე პრემიის ლაურეატი გახდა.

მონრეალის საერთაშორისო კონკურსი

მონრეალის საერთაშორისო კონკურსზე კანადის, იტალიის, იაპონიის, ესპანეთის, შეერთიანი ამერიკის, ინგლისის, უნგრეთისა და სხვა ქვეყნების ორმოცი წარმომადგენელი გამოდიოდა, ხოლო საბჭოთა კავშირიდან მაყვალა ქასრაშვილთან ერთად ორნი მონაწილეობდნენ.

ჟიურის შემადგენლობაში ძალნენ მსოფლიოში ცნობილი მომღერლები და მუსიკოსები: მარია კალასი (იტალია), ჯინინ მიშო (საფრანგეთი), ეკა ტურნერი (დიდი ბრიტანეთი), ჰანს ჰოტერი (გერმანია), გიუნტერ ლაფტი (ავსტრია), ემილ მარინესკო (რუმინეთი), ალეკსანდრე ვედერნიკოვი (სსრკ).

ჟიურიმ პირველი პრემიან და ლაურეატის წოდება მიანიჭა რუმინელ მომღერალს გეორგი კრასნარუს (ბანი).

მეორე პრემია მაყვალას მიაკუთვნეს.

ქართველმა მომღერალმა კონკურსზე, რომელიც სამ ტურად მიმდინარეობდა, რვა ენაზე იმღერა და ცხრა არია შეასრულა: არიები „ანტატიდან“, ეკატერინის „ტანკოიზერიდან“, პუჩინის „ბოჰემიდან“, ჩაიკოვსკის „იოლანტადან“, მოცარტის შესიდან და „ფიგაროს ქორწინებიდან“, შოსტაკოვიჩის „კატერინა იზმაილოვადან“, შუმანის ვოკალური ციკლი „სიმღერების წრე“, დე ფალიას ესპანური სიმღერა, პროკოფიევის ციკლი ანმატოვას ლექსებზე.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს თანამედროვე კანადელი კომპოზიტორის შეიფერის ვოკალური ციკლი „არკანა“, რომელიც დაწერილია უძველესი ეგვიპტური იეროგლიფების ტექსტებზე უახლესი, თანამედროვე სანოტო ნიშნებით. მის ამოკითხვაში მაყვალას დიდი დახმარება გაუწია საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა, კონცერტმეისტერმა **ვალა ჩაჩავამ.** მას აღმოაჩინა ჩინებული პროფესიული ალღო, გაბედულება და ნუბისყოფა. ეს კონცერტმეისტერის მესამე საერთაშორისო კონკურსია, რომლებშიც იგი ქართველი მომღერლების წარმატებას ანაწილებს. ამ ციკლის შესრულებისათვის მაყვალას სპეციალური პრიზი მიაკუთვნეს.

მონრეალის საერთაშორისო კონკურსის ერთი თავისებურება კიდევ ის არის, რომ რომელიმე ვოკალური ნაწარმოები თავიდან ბოლომდე კი არ სრულდება, არამედ ჟიურის სურვილისამებრ ერთ-ერთი ფაზა ან ნაწყვეტი, რომელიც შემასრულებლისათვის წინდაწინ ცნობილი არ არის.

ქართველმა მომღერალმა აქაც იმარჯვა.

მონრეალის კონკურსის ყველა ზემოთჩამოთვლილი სირთულეს თუ ჩამოვთვლით, ადვილად დავრწმუნდებით, რომ მაყვალას ვერცხლს ოქროსფერი დაჰკრავს.

მონრეალის კონკურსზე სხვა კონკურსებისაგან განსხვავებით ჟიურის გადაწყვეტილებამდე პრესა აღინიშნავს ცალკეულ შემსრულებლებს, მუსიკის კრიტიკოსები მომღერლებს საკუთარ შეფასებას აძლევენ გაზეთის ფურცლებზე.

სანტტრესოა, რას წერდნენ კანადის გაზეთები ჩვენს თანამემამულეზე.

გაზეთი **„ლა პრესს“:** მისი ხმა საოცარია, მაღალი რეგისტრი, ზუსტი, მტკიცე, ლამაზი, დაბალი — ხატოვანი, ხმის შეფერილობა იტალიურს მოგაგონებს, ტემბრი თბილი და ვიოლა, სოპრანოთაგან განსასხვავებს მაღალი რეგისტრის ელასტიკურობა, ხავერდოვნება. მისი მოცარტი და პუჩინი შესანიშნავი იყო, მაგრამ უპირატესობას მაინც დე ფალიას მივაკუთვნებდით, მრავალფეროვნებისათვის, მომხიბლველობისათვის, სითბოსათვის, რომელიც ყველა სიმღერაში გვაგრძნობინა.

„ლე დევუარ“: მაყვალა ქასრაშვილი შეუდარებელი მომღერალია, მთელი დარბაზი ფეხზე ამდგარი უკრავდა ტაშს... ტოსკას არიაში ისეთი დრამატული ბრძოლა ხელეწიფებოდა, რომ მსმენელთა აღტაცება და ჩუმშარიტი ექსტაზი გამოიწვია...

„ლონ სტარ“: მაყვალა ქასრაშვილი დიდი თეატრის საოცნებო ტოსკაა.

ამ მოკლე სავაზეთო წერილის დასასრულს კიდევ ერთხელ ვულოცავთ ქართველ მომღერალს დიდ წარმატებას და ვუსურვებთ ყველაფერ ამ აღმლილი გზით